,

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-05/386 22.05 2020 წ.

დამატებით (minor) პროგრამებზე სტუდენტთა ელექტრონული რეგისტრაციის წარმართვისა და ჩარიცხვის მიზნით, ახალი ონ-ლაინ პლატფორმის ფორმირების საბოლოოდ დასრულებამდე, უნივერსიტეტში დადგენილი მოთხოვნების პრაქტიკული განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, **ვბრძანებ**:

1. გაუქმდეს რექტორის ბრძანება №01-05/379 13.05 . 2020 წ. დამატებით (minor) პროგრამებზე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტთა განაწილების, მოდულისა და არჩევითი საგნის არჩევის წესის შესახებ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის № 8 (17/18) დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების პრაქტიკული განხორციელების ხელშეწყობის შესახებ.

2. დამტკიცდეს დამატებით (minor) პროგრამებზე სტუდენტთა ასათვისებელი ადგილების ოდენობა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, გასული წლის მოთხოვნილი ადგილებისა და ფაქტობრივად ჩარიცხული სტუდენტების ოდენობების ანალიზის შედეგების გათვალისწინებით:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დამატებით (minor) პროგრამები	**ადგილები**
ქართული ენა და ლიტერატურა	20
ინგლისური ენა და ლიტერატურა	100
გერმანული ენა და ლიტერატურა	100
ფრანგული ენა და ლიტერატურა	50
რუსული ენა და ლიტერატურა	50
აღმოსავლური ფილოლოგია (არაბული/თურქული/სპარსული)	40 (20/15/10)
არქეოლოგია	30
ისტორია	60
ფილოსოფია	20

ბიზნესის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დამატებით (minor) პროგრამები	**ადგილები**
ბიზნესის ადნინისტრირება	120
ეკონომიკა	20

პოლიტიკური მეცნიერებები	50
ჟურნალისტიკა	25
საერთაშორისო ურთიერთობები	50
აგრობიზნესის მენეჯმენტი	15

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

დამატებით (minor) პროგრამები	ადგილები
მათემატიკა	40
კომპიუტერული მეცნიერებები	50
ფიზიკა	15
ბიოლოგია	30
ეკოლოგია	20
გეოგრაფია	50
ქიმია	15
ბიოტექნოლოგია	15

საიჟინრო - ტექნოლოგიური ფაკულტეტი

დამატებით (minor) პროგრამები	ადგილები
მოდის დიზაინი	25
ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ტექნოლოგია	25
ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინი	25
საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა	30

აგრარული ფაკულტეტი

დამატებით (minor) პროგრამები	ადგილები
აგროტექნოლოგია	20
აგროეკოლოგია	20
საბაღო-საპარკო მეურნეობა	20
აგროინჟინერია	30
აგროლოჯისტიკური სისტემები	30
სასურსათო პროდუქტთა ექსპერტიზა	50
ტურიზმი	55

3. სტუდენტთა მიერ დამატებით (minor) პროგრამის არჩევა მოხდეს საკუთარი სურვილის გამოხატვის, თავისუფლების, გამჭირვალობის და კონკურენციის პრინციპის დაცვით, რექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი ვაკანტური ადგილების მიხედვით. აღნიშნული მუხლის მოთხოვნების დამრღვევთა მიმართ გატარდეს უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის 44-ე მუხლით გათვალისწინებული ზომები.

4. სტუდენტთა (on-line) რეჟიმში რეგისტრაცია იწარმოებს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე სპეციალურად განთავსებული ბმულის საშუალებით: https://forms.office.com/Pages/ResponsePage.aspx?id=8YeznJ0ve0aW_6jCYRmcpj0M1jZKBv9PhOZBxaNOeixUMzUwT1QzVEM3SEtXSlE4N1YzVUVJN1FGTy4u

,
5. უნივერსიტეტის სტუდენტთა (on-line) რეგისტრაციის ტექნიკური უზრუნველყოფა (სარეგისტრაციო ფორმის მომზადება Microsoft office პროგრამების დახმარებით) დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურს (ო. შენგელიას);
6. შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციამ მიაწოდონ ინფორმაცია დამატებითი (minor) პროგრამაზე სარეგისტრაციო ბმულის შესახებ იმ სტუდენტებს, რომლებთაც აქვთ დამატებითი (minor) პროგრამაზე არჩევის უფლება.
7. სტუდენტების რეგისტრაცია დამატებით (minor) პროგრამებზე განხორციელდეს:

ა) 2020 წლის 25 მაისიდან 2020 წლის 15 ივნისამდე აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის დადგენილება № 8 (17/18) „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტთათვის დამატებით (minor) პროგრამებზე სტუდენტთა განაწილების, მოდულის და არჩევითი წესის დამტკიცების შესახებ“, მოთხოვნათა გათვალისწინებით;

ბ) ზამთრისა და ზაფხულის მობილობით გადმოსული სტუდენტებისთვის - უნივერსიტეტში ჩარიცხვის ბრძანების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში;

გ) იმ სტუდენტებისათვის, ვინც სხვადასხვა ობიექტურ გარემოებათა გამო (სათანადო დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში), ვერ გაიარა რეგისტრაცია სასწავლო წლის სალექციო პერიოდის დასრულებამდე - რეგისტრაცია განხორციელდეს ამ მუხლის „ ბ“ ქვეპუქტით გათვალისწინებულ ვადებში;

დ) დამატებითი (minor) პროგრამის შეცვლა განხორციელდეს ამ მუხლის „ბ“ პუნქტით დადგენილ ვადებში.

ე) რეგისტრაციის გავლის უფლება მიეცეს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტს, რომელიც დამატებით (minor) პროგრამასთან დაკავშირებულ არჩევას აკეთებს პირველად;

ვ) სტუდენტის რამოდენიმეჯერ დარეგისტრირების შემთხვევაში, დარეგისტრირებულად ჩაითვალოს მის მიერ გაკეთებული ბოლო განაცხადი;

ზ) განსაკუთრებულ შემთხვევაში, სტუდენტთა რეგისტრაციისა და ჩარიცხვის საკითხები, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, დამატებით განხილული იქნას რექტორატის საბჭოს სხდომაზე, რომლის გადაწყვეტილების მიხედვით გამოიცემა რექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ-ნორმატიული აქტი.

თ) სტუდენტს აქვს უფლება გააკეთოს განაცხადი 5 დამატებითი (minor) პროგრამაზე (მ.შ. 3 არჩევანის გაკეთება სავალდებულოა) და დაალაგოს ისინი საკუთარ განაცხადში პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.

8. სტუდენტის ჩარიცხვა დამატებითი (minor) პროგრამაზე ხდება მისი სურვილისა და პირველი სასწავლო წლის პირველი სემესტრის აკადემიური მოსწრების საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნას ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულები.

9. ფაკულტეტის დეკანებმა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სასწავლო მეთოდურ განყოფილებას რეგისტრაციის დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში მიაწოდონ ფაკულტეტზე დარეგისტრირებული სტუდენტების პირველი სასწავლო წლის პირველი სემესტრის აკადემიური მოსწრების ცხრილი, ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულები, სტუდენტთა პირადი მონაცემების (ფაკულტეტი, სპეციალობა, პირადი ნომერი და კორპორაციული ფოსტა) ჩვენებით(დანართი 1 მიხედვით).

10. დეკანებიდან მიღებული სტუდენტთა ელექტრონული რეგისტრაციის შედეგების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, აწსუ სასწავლო პროცესის მართვის სამსახური უზრუნველყოფს კონკურსის ჩატარებას (მ. ნიჟარაძე, ლ. ჭელიძე. თ. ლეშკაშელი, ვ. ნაცვლიშვილი) ამ ბრძანების მე-6,

,
მე-7 და მე- 8 მუხლების მოთხოვნებისა და ცალკეულ პროგრამაზე არსებული ვაკანტური ადგილების გათვალისწინებით. სამსახურის უფროსი (პროფ. ი. ბასილაძე), კონკურსის დასრულებისთანავე წარადგენს რექტორატში შესაბამისი ბრძანების პროექტს.

11. დამატებით (minor) პროგრამაზე განაწილება მოხდეს მხოლოდ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული აკადემიური პროგრამების სასწავლო გეგმების მიხედვით.

12. დამატებითი (minor) პროგრამებზე სტუდენტთა განაწილების დროს გათვალისწინებული იქნეს აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი აკადემიური ჯგუფის ფორმირების ნორმები და ნორმატივები.

13. სტუდენტთა დამატებითი (minor) საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის ბრძანების გამოსვლიდან, არაუგვიანეს ერთი კვირისა, დასაშვებია ამ ბრძანებაში ცვლილებების შეტანა სტუდენტის მხრიდან თავისი განაცხადის გადაფასების შემთხვევაში, თუკი ეს არ გამოიწვევს წინამდებარე ბრძანების მე-9 მუხლით გათვალისწინებული ნორმების უხეშ დარღვევას.

14. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს რექტორის მოადგილემ, ასოც. პროფ. შ. კირთაძემ.

15. კანცელარიის უფროსმა (ე. ცირეკიძემ) ბრძანება ვებ - გვერდზე განსათავსებლად მიაწოდოს მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურს (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი).

საფუძველი: უმაღლესი განათლების სესახებ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „კ"ქვეპუნქტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 53-ე მუხლის მე-2 „კ" პუნქტი დამატებით (minor) პროგრამის, მოდულის და არჩევითი საგნის არჩევის უფლების შესახებ და აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის №8 (17/18) დადგენილება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტთა განაწილების, მოდულისა და არჩევითი საგნის არჩევის წესის დამტკიცების შესახებ.

უნივერსიტეტის რექტორი: პროფ. რონალდ კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი: პროფ. იმერი ბასილაძე

,

დანართი 1

№	გვარი, სახელი	ფაკულტეტი	ძირითადი სპეციალობა	პირადი ნომერი	კორპორაციული ფოსტა	I წლის I სემესტრის აკადემიური მოსწრების ქულათა ჯამი	ეროვნული გამოცდაზე მიღებული სკალირებული ქულა